



შვიდკაცა

„შვიდკაცას“ შვიდი ვაჟი, —  
სმაშეწობილი განგებით, —  
დედა მოსკოვს რომ ეწვია —  
საფეხტივალო მანგებით,  
მოაჯადოვა ქვეყანა,  
რქვეს — „ვაშა, შვილი რაინდი!“  
და შვილი ოქროს ვარსკვლავი  
შვიდ გულზე ჯილდოდ აინთო!

№ 17 საქართველო თბილისი. 1957

ბიჭუ



# ჩვენ ბავშვებს გალაცილური სათამაშოები!

ლი არსება, — დაიწყო მან, — ყოველ ბავშვში ზის მოხუცი და ყოველ მოხუცში ზის ბავშვი.

გალეხულ კარებიდან ძო-  
ჩანს ათობით დაღებულ პი-  
რი. ათობით სახმო სიმი  
ერთდროულად ჟღერს და  
იქმნება რაღაც ყურისწამლები ბგერათა კომპლექტები. დიახ,  
აქ კრებაა. მიმდინარეობს ბავშვთა სათამაშოების დამაზა-  
დებელი არტელის მუშაკებისა და მშობელთა პირველი კრი-  
ტიკულ-ინტრიგული შეხვედრა. ნახევარი საათია ზარის აკომ-  
პანიმენტის ქვეშ სიტყვას აბრტყელებს არტელის თავმჯდო-  
მარე. იგი გაუწითლებლად აღნიშნავს მიღწევებს და სქო-  
ლიოში ეხება ნაკლოვანებებს:

— ... დიახ, ამხანაგებო, ბავშვები უკმაყოფილებას გა-  
მოთქვამენ ჩვენს სათამაშოებზე. თავსაც ვერ ირთობენ თურმე.  
ადგილი ჰქონია სათამაშოების შეგნებულ მტვრევას. ეს ხომ  
აშკარა პროტესტია? ეს ნიშნავს, რომ ვერ გავუგეთ ჩვენს  
პატარა მომხმარებელს. და აი, თავი შევიყარეთ აქ, რათა  
საერთო ენა გამოვჩაბოთ და შეხმატებლებულად მოვემსახუ-  
როთ ბავშვთა აღზრდის დიად საქმეს.

სიტყვა ცალმხრივმა ტაშმა დაფარა, რომელიც მასპინ-  
ძელთა მიერ აღრევე იყო მოფიქრებული. წუთით დარბაზში  
კრებისებური დუმილი გამეფდა—დადგა რეპლიკების სრო-  
ლის მღელვარე პერიოდი.

— რას გავს თქვენი გასაბერი რეზინები, ორჯერ ჩაბე-  
რაგ—ხელიკია, სამჯერ ჩაბერაგ—ბაყაყი.

— რატომ დებს თქვენი ქათამი წესდებით გათვალისწი-  
ნებული ხუთი კვერცხის ნაცვლად ორს?

— კვერცხს, ხანდახან, ფერმის ქათმებიც ვერ დებენ,—  
იმართლა თავი თავმჯდომარემ.

— რატომ არ უშვებთ ბავშვის ფეხსაცმელებს?—იყო  
მოულოდნელი კითხვა.

— ეს ხომ სათამაშო არაა!—განცვიფრდნენ პრეზიდენტში.

— გახადეთ თოჯინებს და გაყიდეთ ცალკე!—მოისმა  
ღირეტივა მესამე რიგის მე-7 სკამიდან.

რეპლიკები ერთმანეთს ცვლიდა, მაგრამ ეს არაფერს არ  
ცვლიდა.

— კარგი იქნებოდა, მაჯის საათები რომ მუშაობდნენ!

— აჯობებდა ნავთქურები რომ ინთებოდეს. ბავშვი თავი  
დასვენებდა სადილების კეთებას,—ინატრა თეთრხე-  
ლებიანმა მანდილოსანმა.

— აბა, სწორედ, ოჯახს დავაწვევინებ თითისხელა  
ბავშვს!—წინადადებას აცილება მისცეს პარტერშივე.

— იქნებ ისიც ინატროთ, ჩვენი სათამაშო თოფებით  
გარეულ ტახებს ხოცავდეთ.—გაბრაზდა თავმჯდომარე.

— ტახს არა, მაგრამ მეზობლის კატას რომ მოკლავ-  
დეს, კარგი იქნება.—წავიდა დათმობაზე ვიღაც.

კრების თავმჯდომარემ აუღიტორიას სერიოზულობისა-  
კენ მოუწოდა. თან მოაგონა, რომ ისინი ბავშვები კი არ  
არიან, არამედ ბავშვების მშობლები.

სიტყვა აიღო ევროპულად გამოწყობილმა და კრიტიკუ-  
ლად განწყობილმა პიროვნებამ:

— მე ვფიქრობ, მიზეზი უნდა ვეძიოთ საქმისადმი უსულ-  
გულო დამოკიდებულებაში. გავვიტაცა რაოდენობამ, უკანა  
პლანზე მოექცა ხარისხი. სარდაფი ცხვირ-პირ და ხელ-ფეხ-  
დაღწევილი თოჯინებითა მაქვს სავსე.

— ბავშვი კი არა, მხეცი გყოლია, — ხმადაბლა ახსნეს  
ფაქტი უკანა რიგებში.

— ხულიგნებზე არ გვაქვს მსჯელობა, რეგლამენტი ამო-  
გეწურათ,—მორიდებით შეახსენეს ზემოდან.

შემდგომ სიტყვა მისცეს ფეხზემდგომ პიროვნებას, რომელ-  
საც ეტყობოდა, ლექციებს  
კითხულობდა დაუსწრებელ  
ინსტიტუტში მაინც.

— ბავშვი მეტად რთუ-

— ახლა პენსიონერებისთვისაც მომთხოვეთ სათამაშოე-  
ბი,—იწყინა არტელის თავმჯდომარემ.

— თქვენ ვერ გამიგეთ. რას მისცემს XX საუკუნის, ამ  
გიგანტური ეპოქის ბავშვებს, ძაღლებისა და კატების გამო-  
სახულებები?

— გააცნობს შინაურ ცხოველთა სამყაროს!

— ამისთვის ბავშვს შეუძლია ცოცხალ ეგზემპლარებთან  
იქონიოს საქმე, ანდა, ვთქვათ, აღზარდეთ პატარები თქვენს  
მიერ დამზადებულ „პობედებზე“. რა გამოგა აქედან?

— ეს ჩაუნერგავს მათ თანამდებობის პირად გახდომის  
სურვილს!—მოისმა ხმა სიღრმიდან.

— არ ვარგა, ეს გზა წავგიყვანს გადიდვებისა და კა-  
რიერიზმისაკენ.

— რას მოითხოვთ მაინც?—არ უშვებოდა მორეპლიკე  
პიროვნება.

— მივცეთ ბავშვებს საბარგო მანქანები, „სამოსვალეები“,  
თავიდანვე შეეჩვიონ გარჯას. აღეძრათ შოფრად გახდომის  
სურვილი.

— ნეტა თვითონ რას გადაწყვეტ უფროსი ბიჭის ინსტი-  
ტუტში მოწყობას?—გასცეს საიდუმლო მეზობლებმა.

ორატორი დაჯდა. მისი ნათქვამი კი არტელის თავმჯ-  
დომარეს ქკუაში დაუჯდა.

— ამხანაგებო, მიზეზს თითქოს მივაგენით,—დაიწყო  
შემაჯამებელი სიტყვა მან,—საქმე გვაქვს ახალი ტიპის ბავ-  
შვებთან. მარტო შიო მღვიმელის ლექსები და დეკამერონი  
არ ეყოფათ მათ. საჭიროა თავიდანვე ჩასწვდნენ ატომგულის  
საიდუმლოებას.

თავმჯდომარის სიტყვები ტაშმა აიტაცა. ეს იყო ნამდ-  
ვილად აზრის ტრიუმფი. დასასრულ, არტელის ბუხპალტერმა  
სახარებასავით წაიკითხა საგანგებოდ შედგენილი ლონისძიე-  
ბის პროექტი:

ბავშვები—ეს ჩვენი ცხოვრების ყვაილებია. მათი იდეუ-  
რი აღზრდის მიზნით დაევალოს საამქროს გამგეებს:

1. თავი ანებონ ძაღლების, კატებისა და სხვა ცხოველთა  
სათამაშოების დამზადებას.
2. შესწყვიტონ ფუფუნებისა და კერძო მესაკუთრეო-  
ბისაკენ წამბიძგველი გასართობების  
„პობედების“, „ზიმების“ გამოშვება.
3. მათთვის ჩვეული ოსტატობითა  
და გულმოდგინებით ხელი მიჰყონ სა-  
ბარგო და სახანძრო მანქანების და  
სხვათა მასობრივ დამზადებას.
4. ამის შესაბამისად გაიზარდოს  
სათამაშოთა რაოდენობა (ხარისხიც).
5. მსხვრევის თავიდან აცილების  
მიზნით დამზადდეს ფოლადის სათა-  
მაშოები.
6. ბავშვთა მღელვარე ფსიქიკა-  
ში ჩაწვდომის მიზნით სასურველია  
მომსახურე პერსონალს ეყოლოს საკუ-  
თარი ბავშვები.

ჰარი ჰარალიუვილი





**უყუარლად მიგოვადი  
საყუარლადო საქმე!**

როცა საქართველოს № 6 ქარხანაში მუშაობა მიმდინარეობს, არც კი დაეჭვდები, რომ აქ ყველაფერი რიგზე არ არის. მართლაც და რაა აქ საეჭვო? ფქვილის მოტანას არ აგვიანებენ, პური ჩვეულებრივ ცხვება, არც მანქანების დატვირთვა ფერხდება. ქარხნის დირექტორი ჩაჩხიანი ღიმილით უთვალთვალეს გაპრჯე მუშებს, ამყობს, უხარია, მაგრამ მუშები... ზოგი იმათაც ჰკითხეთ. ამხელა ეზოში წვეთი წყალი არ არის, რომ გული გაიგრილონ. გაგვიკვირდებათ, როგორ შეიძლება პურის ქარხანაში წყალი არ იყოსო. არა, მთლად არც მაგრეა საქმე, წყალიც არის და პურიც, მაგრამ საკითხავია ვის რას არგებს?

პურის საცხოზ საამქროში მზაპროდუქციის მთებია, ამიტომაც მეტწილად ბოქლომი ადევს და, რასაკვირველია, კანონიერადაც. ჰიგიენა და საერთო წესი მოითხოვს, იქ ყველამ არ შეტოპოს ვისაც მოეპრიანება, მაგრამ რა ქნან როცა სწორედ ამ საამქროშია წყალი?!

ქარხნის ეზოში კიდევ ერთი საამქროა, სადაც მწყობრიდან გამოსულ ინსტრუმენტებს, ქვაბებს და სხვა აუცილებელ საგნებს აკეთებენ. აქაც მოდის წყალი, ერთი პატარა ონკანია, მაგრამ ერთ წუთში რომ ორი კაცი წყლისთვის კარებს ააჭრიალებს, როგორღა უნდა იმუშაონ? გაბეზრდნენ ამ საამქროს მკვიდრნიც და ონკანში იმხელა ხის პალო ჩაჭედეს, რომ ძნელად დასაჯერია, ვინმემ ამოიღოს.

უწყლობას განსაკუთრებით ექსპედიციის მუშები განიცდიან, რომლებიც ეზოში ქალაქის მაღაზიებში გასაგზავნ მანქანებს ტვირთავენ. თუმცა რა სათქმელია, როცა ბოთლები აქვთ და წყალსაც იმარაგებენ. ნეტავ ვინმე შეახურებდეს ქარხნის მესვეურებს, იქნებ წყალი მოწყურდეთ და მაშინ მაინც გაიგონ, რას ნიშნავს უწყლობა.

**ნაკიკალ ბინარაული**



**ფესტივალზე და**

**ფესტივალის შემდეგ**

*მეორე*  
*მეორე*

ლევან ფრუიძე ალტაცებაში მოიყვანა კურორტ შოვის სიღამაზე. რა კარგია, რომ მან დიალექტოლოგიურ-ეთნოგრაფიული ექსპედიცია ჩამოიყვანა. იგი ამ კუთხის კაცია, მაგრამ ასე მომხიზლავი პეიზაჟები ჯერ არ შეუმჩნევია. მოდი, ბარემ ღამის გათევზავც დროულად იფიქრებს, რომ სიამოვნება გაიასკეცოს.

მიმართა ფრუიძემ შოვის სასტუმროს გამგეს ნიკოლოზ დგვარელს.

— ადგილი? ღამის გასათევად? კი, ჭირიმე, კი, გენაცვალე, საბუთი და ფული მიბოძეთ!

ფრუიძის ალტაცება უკვე გაათქვცდა. ამ მომხიზლავ ბუნებას, დიხახც ასეთი კეთილი აღამიანები უნდა «მართავდნენ», როგორც დგვარელია. იცოცხლოს დიდხანს. იცოცხლოს! ხუმრობაა? კაცმა შოვში სასტუმრო იშოვა?

— ხომ ნებას დამრთავთ, ტურბაზაში ლექცია მოვისმინო?— შეეკითხა ფრუიძე კეთილ მასპინძელს. როდესაც მან ალტაცებულ სტუმარს ღამის გასათევი ადგილი უჩვენა, და საწოლი ჩააბარა.

— კი, ჭირიმე, კი გენაცვალე, გაიარე, ისეირნე, როცა მოგესურვოს— მაშინ დაბრუნდი!

ამ სიტყვებზე ხომ კელაპტარივით დაუდნა გული სტუმარს. მაღლობა დგვარელს, დიდი მაღლობა!

სტუმარმა გაისეირნა. ლექცია მოისმინა, ზედმეტად დატკბა სანახაობით, ხოლო სეირნობის შემდეგ დგვარელმა რაც მას სეირი უჩვენა, კალამი ადვილად ვერ აღწერს.

აი, თორმეტს 20 წუთი უკლია. დაბრუნდა სტუმარი. მზადაა ღილინი დაიწყოს. მაგრამ ეს რაა? ჭინ გაშოტილა მის საწოლზე, ვინ ხროტინებს პირდაღებული? მოდი, კეთილ გამგეს ჰკითხავს.

— მერე შენ რა გნებავს, ვინც ხვრინავს?— თვალების ბრიალით შეეგება დგვარელი. — ვინ ხვრინავს და ღამის გამთევი!

- მერე მე?
- შენ შავი ქვა და ნაცარი ცხელი, რა ვიცი კიდევ რა?
- კი მაგრამ, სად წავიდე ამ შუადამისას?
- სადაც გინდა, იქ წადი, რას გკითხულობ? თუ საწოლი გინდოდა, სადღა მიეთრეოდი?

რალა თავი შეგაწყინოთ, იმ საათნახევარში მრისხანებად გარდაქმნილი დგვარელი კაცისმჭამელად მოეუღინა ფრუიძეს, დატუქსა, გააბანლურა და აიძულა მილიციის რწმუნებულისათვის მიემართა.

თქვენ წარმოიდგინეთ, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა მალაქია კაკრიაშვილმაც იმავე ლექსით გაართო ფრუიძე, ყოველგვარ «ეშმაკებთან» გაგზავნა იგი, დამატებით ფეხებიც დაუბაკუნა და. თუ არ მოეშებოდა, მას დაპატიმრებით დაემუქრა.

დააპატიმრება! ეს სასტიკი ზომა ნამდვილ სხნად მიიჩნია ფრუიძემ ამ თავსხმაში, ამ სიბნელესა და სიცივეში. პატიმრობაში ღამეს გაათევს და ხვალ კი... ხვალ სიმართლე გამოირკვევა და სეირს უჩვენებს იგი დგვარელს ოქმს შეუდგენს. არ შეარჩენს უსულგულოდ მოპყრობას.

და ფრუიძე ოკენრის ერთი სახუმარო მოთხრობის გამირივით შეეცადა. რომ იგი დაეპატიმრებინათ.

მაგრამ ვერ მიართვეს! კაკრიაშვილმა ოინი გაუგო და ძალით იფრინა იგი მილიციის პუნქტიდან.

მწირმა და მიუსაფარმა ფრუიძემ ავისულივით წაწალში გაატარა ის ღამე. დასველდა, გაცივდა და მეორე დღეს ორივე ილიაში თერმომეტრები ამოიჩარა.

ამბობენ, ასე მთავრდება შოვში ჩასული კაცის პირველი ალტაცება, თუ მას ღამის გათევი დასჭირდა «დგვარელისადმი რწმუნებულ» სასტუმროში. ან დახმარებისათვის მიმართა კაკრიაშვილს.

**ს. შოველი**









# მოკლე ლექსები



მოსე ციცხვაძეს მეძახიან.  
ვიცი, ასეთი გვარი არ გაგვეგონებათ. გმირი და ორდენოსანი გვარში არ გვეყავს და, ჩემდა თავად არც მე ვარ დიდი ტარიელი. ნურც მოწინავეთა დათაზუ, მომძებნით. სურათის გადაღება, საერთოდ, არ მიყვარს. ფოტოგრაფთან უკანასკნელად როდის ვიყავი, კარგად არც ის მახსოვს. მგონი მაშინ იყო, თმებმა ცვენა რომ დამიწყო. დედაჩემმა არ მომასვენა, სურათზე მაინც დამიტოვე ქოჩორიო ავ-

— წინ გამიძებნეთქი—შევეუბახე. კრინტი აღარ დაუძრავს, თავისი ხელით გაალო ჭიშკარი მაგიდასთან დავსვი. ღვინო კი მაქვს ბლომად. ერთ ჭიქაში მე დავისხი ცოლიკოური, მეორე იმას გადავუდღვი.  
— ამით ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს!  
— გაუმარჯოსო!—ტუჩები დაისველა და დადგა.  
თოფი იქვე მაქვს მიყუდებული ხელში ავიღე.

დექი და გადავიღე.  
ეჰ, როგორ მიდის დრო! კიტრიპარია გოგია ახლა ჩვენი კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირია, მოსე ციცხვაძე კი—მისი ბრიგადის ჩამორჩენილი წევრი. გოგიამ პირდაპირ მომშალა კაცი. დღე ერთია და ასჯერ დამჩხავის თავზე:—ახალგაზრდა კაცი რამ გაგასივია ასე, წაიმუშავე, ცოტა ქონი დაყარო!

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენს შორის საერთოს ვერ ნახავს კაცი. რაც მთავარია, ღვინის სმაში ვერ ვეწყობით. ტრახანით არ ვიტყვი და, მას რომ ღვინო აქვს დალეული, იმდენი წამალი შემისვამს. სმას თავი დავანებოთ, ცეკვა მაგან არ იცის და სიმღერა.

კარგი, ბატონო, თვითონ არ სვამს, მაგრამ მე რას მერჩის, საქვეყნოდ თავი რომ მომჭრა. ეგ ლოთიო, ეგ ალკოჰოლისტიო, ვაიძახის. მომიგონა, ვითომ გვიმბრადის დედაბრის ქელეხში ისე დავმთვრალიყო, რომ ბოლო სასმისი ამ სიტყვებით დამემთავრებინოს: ყველა კარგად იყავით, ყველა ჩვენგანის ოჯახში ასეთი წვეულებაო.

არ დაიჯეროთ! ქელეხში კი არაა, მოყვრის ქორწილში რომ თამადად ვიყავი, ყავარზე გაწყობილი რვა ჭიქა რომ დავცალე ზედიზედ, მაშინ არ მომრეგია ღვინო. დავექადნე, თუ არ გადაგიხადე, უღვაშიმც გამცენია-მეთქი.

ახლა თუ მომისმენთ, მოკიყვებით, როგორ დავსაჯე ჩემი შემარცხენელი.

დაზამთრებაზე რომ პირველი თოვლი მოვიდა, სანადიროდ წავედი. დელეს გავშორდი თუ არა—შალიკო პარიკმახერი გადამეყარა. წისქვილიდან მკადი მოჰქონდა. შეცივებული იქნები, ცოტა გავხურდეთო. მეორეჯერ თქმა არ დაჭირვებია. სირცხვილია, კაცმა ღვინოზე დაგპატიეთს და ახვეწინო. გადამთიელი ხომ არაა, ჩვენი შალიკოა. მიმრყანა და რა გინდა სულ და გულო! კაი გვარიანი შეზარხოშებული წამოვედი. სახლთან რომ მოვადწიე, გოგია შემომხვდა. ახლა გაქვს სამაგიეროს გადახდის დროო, ჩამაძახა ვილაცამ გულში.

დიდი ამბით მომესალმა, სულ შაქარი დაიყარა ენაზე.—სად იყავი, ვისთან დალიეო, კარგი ღვინო თუ ჰქონდაო. გამეცინა გუნებაში. ჭინჭრაქა უქმე დღეს გახელდაო, ნათქვამია. მეც დაეუშაქრე.

— ერთი ჩემთანაც ჩამოიხედე. მართალია. დედაჩემი სახლში არაა, მაგრამ ეგებ მეც მოვიჩინო ცივი მკადის ქერქი-მეთქი.

საქმე მაქვს, გამგეობაში უნდა ავიდეთ. ათასი ბოდიში მოიხადა და წასვლა დააპირა. რა შეილი, მე იმას გაეუშვებდი! თოფი მხარზე მაქვს გადაკიდული. გადმოვიღე. გაეცინა. რა უშნო ხუმრობა იციო.

სახუმრად რომ არ მქონდა საქმე, მაშინ მიხვდა, ჩახმახი რომ შეგაყენი.

იყვირა, არ გინდაო. წვეთი არ დაუტოვებია. ისე დაცალა. შემდეგ აფუხენი: პირველ რიგში შენც იმდენი ღვინო უნდა დალიო, რამდენიც შალიკოსთან დავლიე-მეთქი.

ვუსხამ ჭიქაში და ისიც სვამს ულაპარაკოდ. ვიცი, ზურგით წასაღები გასდება, მაგრამ არ ვდარდობ—მაშალი ინდოურის წონის მეტი არ გამოვა.

არც ერთი ჭიქა არ შეირჩინა. დალია და საცოდავად დამეჯღანა: ძმობას გაფიცებ, ახლა მაინც გამიშვიო.

— სმა ახლა იწყება, ჩემო მეზობელო, სუფრაზე მაინც ვარ შენი ბრიგადირი-მეთქი. ძმობის სადღეგრძელოა, ჩვენს ძმობას გაუმარჯოს!

ძმობას—მშობლების და ნათესავების სადღეგრძელო მოყვა. ღვინო გამოიღვეა, თორემ სალაპარაკოს რა გამოიღვეს! ვსვამთ და გულზე ვსკდები. ვებდავ, კაცი წვეთს არ იპარავს და გაფუქების არაფერი ეტყობა. მე კი ნისლი ჩამიდგა თვალებში.

ნათლიების სადღეგრძელოზე რომ მივედი, შევატყვე წაგბდი კაცი. ამიტყდა სლოკინი.

— წავალ ერთი, ამინდს გავიგებ-მეთქი, ამოვღერღე. წამოვიწიე, მაგრამ ისევ სკამზე დამსვა. ახლა თვითონ ამივსო ჭიქა.

— ღვინო მწყურია, მოსე ბატონო, და სახლში ხახა-გამშრალს ნუ განიშვებო.—შხამი რომ ყოფილიყო ჭიქაში, ამ სიტყვების შემდეგ იმასაც არ დავტოვებდი შეუსმელს.

კიდევ დამიპირა ღვინის დასხმა, მაგრამ ძალა ვინმარე. კარებამდე კი მივედი, შემდეგ რა მოხდა, აღარ მახსოვს.

თვალეები რომ გავხილე, სუფრასთან მეგონა თავი, ლოგინში კი ვწევარ. სასთუმალთან გოგია მიზის და თოფს წმენდს. შუადღე მშვიდობისაო, მომესალმა. შემდეგ თოფი მიჩვენა:

— მუგუზალი რომ დაადგა, მაინც არ გავარდება, ამ თოფით მიპირებდი სიკვდილსო?

მიწა რომ გამსკდომოდა, მიჯობდა. დამათრო, მარა, ვინ მერე? ჩემი ჭკუით ქალთა თამალობასაც რომ ვერ გაწევდა სუფრაზე. იმან!

— თუ სალექსოდ არ გამიხდი საქმეს, შენ იცი და შენმა კაცობამ-მეთქი,—ვუთხარი.

— შენი კაცობა რა პასუხს მეტყვისო?


ჩამივარდა ენა მუცელში. მასაც მეტი არაფერი უთქვამს. ეს ამბავი გასულ წელს მოხდა. შემდეგ?—იკითხავთ თქვენ. გოგიამ შემინახა ნამუსი. მე კი... ღვინის სმას გადავეჩვიე-მეთქი, რომ გითხრათ, ტყუილი გამომივა, ლოთობა კი მივატოვე. პირველი თამადა მეგონა ჩემი თავი და ამაშიც

აღარ ვვარგებულვარ თურმე. აჯობებს სხვა. რამეში ვცადო ბედი.



ალექსანდრე ხამსონია





**საყვარელო ნიანგო!**

(ს. ორმეთი)

იცი რას ნიშნავს გამოთქმა «ლორების ლიკვიდირება»? სოფელ ორმეთში ამ სიტყვების გაგონებაზე ხალხი გროვდება კლუბის ეზოში. თვით «კლუბში» კი კინომექანიკოსი ჟორა ლორებს დასდევს, ერეკება გარეთ. «დაამარცხებს» თუ არა კლუბში მოკალათებულ ლორებსა და ბატებს—სიანსი დაიწყება.

ამ სასიამოვნო - კულტურულ «ზიარებას» კი წინ უძღვის ასეთი პროცესი: მაყურებლებმა სახლიდან ჯერ ცოცხი და სკამები უნდა მოიტანონ, თუ ელნათურები დატაცებულია, მაშინ სანათებზედაც უნდა იზრუნონ, ადგილს მიემარგონ და დაიძახონ:

«დავიწყეთ!»

იგულისხმე, რომ ყოველ მესამე კადრზე მაინც ფირი უნდა გაწყდეს, მას ღრიალი მოჰყვება, ხალხი ოფლში გაიღვაროს და თუ მოთმინების ფილაში ადგილი დარჩა—მერე სურათს ბოლომდე უყუროს.

ხედავ, საყვარელო ნიანგო, რა საინტერესო «კინოსპექტაკლები» გვექნებოდა, რომ...

ასეთი სიანსებიც კი სანატრელი არ გვექნებოდა!

გიქვიამბო

**მეგობარო ნიანგო!**


(ქუთაისი)

დავიჯეროთ ქუთაისში ყოფნისას შემნახველ საღაროში არ შესულხარ გამოგზავნილი ფულის მისაღებად? ან ქუთაისიდან მიმავალს—რკინიგზის ქალაქის სადგურში არ შეგიხედნიან?

ჰოდა, კეთილი იყოს შენი ფეხი ქუთაისში. რკინიგზის «ქუთაის პირველის» მახლობლად ასეთ სურათებს გადააწყდებოდი: მატარებლის ბილეთს სთხოვდი—საანაბრო წიგნაკს მოგთხოვდნენ, ფულს მოიკითხავდი—ბლაცკარტზე დაგიწყებდნენ ლაპარაკს. ორივე შემთხვევაში ანტისანიტარია შეგზარავდა და იკითხავდი სადა «ვარო».

ასეთი კომბინირებული დაწესებულება აქ არის, ქუთაისში, სადგურის გვერდით, ერთ ბაწაწინა, ყუთისტოლა ოთახში. ერთი პირი უკითხე, მეგობარო ნიანგო, ამ შეუსაბამო «დაწესებულებას» თავ-თავისი ადგილი არ უნდა მიუჩინონ?

ივ. ბ-ძე



**აზნაგაო ნიანგო!**

(სოფ. ბორითი)

მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, რაც შენც კარგად მოგესხენება, სოფელ ბორითის საავტომობილო ხიდი დაინვალიდა, მას სასწრაფო განკურნება სჭირია.

— მაგაზე რა გადარდებთ, რა იქნა ორჯონიკიძის რაისაგზაო განყოფილების უფროსი რობიტაშვილი, იმაზე კარგი მკურნალი რად გინდათ?—იტყვი.

მართლაც რად გეინდოდა, რობიტაშვილს ცოტაოდენი ყურადღება რომ გამოემეტებინა და ჩვენი საავტომობილო ხიდის შეკეთებაზე ეფიქრა. რობიტაშვილმა სწორედ ეს ყურადღება მოაკლო ჩვენს კოლმეურნეობებს, ჩვენს ზონაში არსებულ წარმოებებსა და სკოლებს.

გაახსენე, ძვირფასო ნიანგო, დანარჩენი თვითონ იცის ნულარ გვახვეწინებს.

ო. მოედნელი

**კვირფასო ნიანგო!**

კინოსურათზე არ მოგახსენებთ. ეს ნამდვილ ჩვენ ეზოს (კლარა ცეცქის ქ. № 39 სახლის ეზოს) ეხება. აქ აცხოზენ გემრიელ ფუნთუშებს და უგემურად აცხოზრებენ მრავალ ოჯახს.

უგემურად რატომ?—იკითხავთ. იმიტომ, კეთილო ნიანგო, რომ მთელი დამე პირველი სართულიდან შემონთებული გვაქვს «ფარსუნკები», ფანჯრებს ვაღებთ—ჭვარტილი გვახრჩობს, დავეკეტავთ—შეხუთული ჰაერი, დავიძინებთ—ეზოში მანქანების გრუნხუნი გვაღვიძებს. გვეღვიძებს და ვაი იმ ღრიალს, რასაც ჩვენ ვიტანთ.

ეს იმიტომ ხდება, რომ ამ ეზოში საცხოვრის გასამართავი ადგილი არ არის, საფუნთუშეს მომწყოები ორგანიზაცია კი თავს იკლავს და არ ასრულებს დადგენილებებს, რაც ათასობით გამოტანილა ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ.

გვიშუამდგომლე, კეთილო ნიანგო, გადაიტანონ ამ ეზოდან ჩვენი მტანჯველი საფუნთუშე.

მდგმურები

**კეთილო ნიანგო!**

(დ. წნორი)

ხომ იცი სადგურ წნორში თავს იყრის რაიონის სოფლებში მიმავალი გზები. ავტოტრანსის წნორის კანტორას ათასობით მგზავრი გადაჰყავს.

ერთობ ცოცხალი მარშრუტი იყო აქამდე წნორი—მაჩხანო. ორი ავტობუსი ყოველ საათში აკეთებდა რეისს და ეს «საქმეს შევლოდა». მაგრამ კანტორაში ერთ დღეს ბრძნული გადაწყვეტილება გამოიტანეს და მოხსნეს ერთი ავტობუსი (შემთხვევით რეისებად აქტივს მისი გაშვება).

ამ გაგანია სიცხებში მართლაც რომ გულისხმიერ მომსახურებად ჩათვლებათ მგზავრებს ჩვენი «ავტოტრანსელებს» წინდახედულება, ხომ?

ლ. ორღობელი



შეყვარებული ძალოსანი

რედაქტორი—ელგუჯა მალრაძე.

სარედაქციო კოლეგია: ა. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, ო. ჰელიძე.

საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Гбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нიანი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42 ტელ. 3-10-49

გამომც. № 17, ხელმოწ. დასაბ. 10/IX-1957 წ. ქაღ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეფ. № 1010. უფ. 05107. ტირ. 30.000.



37-393

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



— როდემდის უნდა ვიჯდეთ უხაკმოდ?  
 — ეჰ, ამ სკოლას რომ პატრონი ჰყავდეს, მახალას დროზე მოგვანჯღიდა და ახლა უკვე მესუთე კლასში ვიქნებოდით გაღასული.